

ქ.თბილისი

09.03.2011

სხდომას ესწრებოდნენ:

1. კახი ყურაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, საბჭოს მდივანი;
3. ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;
4. კონსტანტინე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
5. რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;
6. ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;
7. დავით კახიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი;
8. ნანა ჭილაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
9. მარინა ჟვანია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამსახურის უფროსი;
10. მაკა კორძაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს უფროსი;

11. კონსტანტინე ჩოკორაია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კონსულტანტი;
12. ნინო კოპალეიშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
13. რევაზ ხოფერია - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
14. ნათია ვაჭარაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის პროცესის მართვის სამმართველოს უფროსი;
15. ნინო ბერელიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის პროცესის მართვის სამმართველოს კონსულტანტი;
16. თამარ ლორთქიფანიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის პროცესის მართვის სამმართველოს კოორდინატორი;
17. ეკატერინე ჩინჩალაძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის პროცესის მართვის სამმართველოს უფროსი;
18. ბექა ძამაშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის პროცესის მართვის სამმართველოს კონსულტანტი;
19. სალომე ფრუიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს კოორდინატორი;
20. ლაშა მარგიშვილი - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალიტი;
21. დავით მაკარიძე - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სპეციალისტი;
22. კახაბერ ჭელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წამომადგენელი;
23. მედეა ჯღარკავა - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წამომადგენელი;
24. ნათია მიქელთაძე - შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის წამომადგენელი;
25. ზურა მაცაბერიძე - შპს - საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი;

26. ციციწო ღონღაძე - შპს - საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის წარმომადგენელი;
27. ნოდარ სამხარაძე - შპს - საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის წარმომადგენელი;
28. დანიელ დავითაშვილი - დამსწრე პირი;
29. ნინო ნიჟარაძე - დამსწრე პირი;
30. ჯუმბერ გაბრიელაშვილი - დამსწრე პირი;
31. ჯ. ალავიძე - დამსწრე პირი.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 18:20 საათზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ-კომპლექსი „გონისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხი;
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;

5. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;
6. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;
7. სსიპ - საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;
8. სსიპ - თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;
9. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;
10. შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;
11. სსიპ - ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;
12. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;
13. სსიპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;
14. შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;
15. საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხი;
16. სსიპ - ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება-კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხი;
17. შპს - საზღვაო სასწავლო ცენტრ "ანრისთვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;

18. შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი;

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დაწყებამდე, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, კახი ყურაშვილმა საბჭოს წევრებს განუმარტა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-13 მუხლის შინაარსი, რომლის მიხედვითაც ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს. ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ავტორიზაციის საბჭო.

საბჭომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ პროფესიული პროგრამები წარმოდგენილი იყო აკრედიტებული (ავტორიზებული) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ და საბჭოს აქვს ინფორმაცია ამ დაწესებულებების მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისადმი წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე. ამ ეტაპზე კი უნდა შეფასებულიყო ამავე დაწესებულებების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით დადგენილი სტანდარტების (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ადამიანური რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური რესურსი) დაკმაყოფილების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს კითხვა დაუსვა ხომ არ ჰქონდათ რაიმე შენიშვნა დღის წესრიგთან დაკავშირებით და აქვე დასძინა, რომ დღის წესრიგთან დაკავშირებით შემოსულია მოქალაქე დანიელ დავითაშვილის შუამდგომლობა.

საჯარო სხდომაზე დამსწრე დანიელ დავითაშვილმა, რომელმაც თავი წარმოადგინა როგორც პროფესიული განათლების პროფკავშირების თავმჯდომარემ, ეროვნული პროფესიული საბჭოს წევრმა შუამდგომლობა დააყენა საბჭოს წინაშე დღის წესრიგის წარდგენილი პროექტის

დამტკიცების გადადებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით წერილით უკვე მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორსა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს. დანიელ დავითაშვილის განმარტებით, მისი შუამდგომლობის მიზანი არის საქართველოში ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მაღალ დონეზე განხორციელება. მან ითხოვა, რომ საბჭოს თავმჯდომარეს საბჭოს წევრებისთვის გაეცნო მოცემულ საკითხთან დაკავშირებით წარდგენილი წერილი და ამის შემდეგ ემსჯელათ დღის წესრიგის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ სრულად გამოაქვეყნა დანიელ დავითაშვილის მიერ 2011 წლის 4 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის სახელზე შეტანილი წერილის შინაარსი:

„საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირი, როგორც თქვენთვის არის ცნობილი, მუდამ ზრუნავს პროფესიულ განათლებაში დასაქმებულ მასწავლებელთა და აგრეთვე პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების დასაცავად.

აქედან გამომდინარე, როგორც დაინტერესებული მხარე, ვალდებულად მივიჩნევ საქმის კურსში ჩაგაყენოთ, რომ საქართველოს კანონების „პროფესიული განათლების შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ“, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ და მათგან გამომდინარე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა უხეში დარღვევით და იგნორირებით საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ (თავმჯდომარე კ. ყურაშვილი) 2011 წლის 10 თებერვლის დანიშნულ ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განიხილა და მიიღო კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხებოდნენ 15 უნივერსიტეტისათვის, ერთი კოლეჯისთვის და ერთი სასწავლო ცენტრისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და მათთვის პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხებს.

1. კანონის შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან განახორციელონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, იგივეს ითვალისწინებს მინისტრის მიერ გამოცემული №99/ნ ბრძანების მუხლი 12, პუნქტი 2.

2. ხსენებული ბრძანების მუხლი 13-ის შესაბამისად: „ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ ბრძანებით დამტკიცებული დებულების III თავით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში.“

3. ავტორიზაციის სტანდარტებია:

- საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტები;
- მატერიალური რესურსების სტანდარტები;
- ადამიანური რესურსების სტანდარტები;

4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის დამატებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების დადგენა 2011 წლის 10 თებერვლის სხდომაზე არ მომხდარა დებულებით გათვალისწინებული მე-IV თავის მუხლი 14-17-18-19-20-21-22-25 მოთხოვნათა შესაბამისად, პირიქით გადაწყვეტილებები მიღებულია მათი სრული იგნორირებით და კანონდარღვევით.

5. არ შექმნილა ავტორიზაციის სტანდარტების დასადგენად ექსპერტთა ჯგუფები (მუხლი 18), არ განხორციელებულა საავტორიზაციო ვიზიტები (მუხლი 20), საავტორიზაციო ვიზიტების შედაგად არ შემდგარა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნები (მუხლი 21), ამის შემდეგ და მათ საფუძველზე არ მომხდარა ზეპირი მოსმენები (მუხლი 22, პუნქტი 1).

6. გასაოცარია ის, რომ საბჭოს თავმჯდომარის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის დაწყებამდე განმარტების შემდეგ, საბჭომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ საბჭოს გააჩნია ინფორმაცია ამ დაწესებულებების მატერიალური რესურსების შესახებ, მათ შორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თვალსაზრისით და რაც არ შეესაბამება სინამდვილეს, ვინაიდან მატერიალური რესურსების შესახებ არ არსებობს არანაირი დასკვნა, შემოწმების აქტი, ფაქტობრივი მონაცემები. ეს არის აბსოლუტური ტყუილი, ვინაიდან არც ერთ მაძიებელ უმაღლეს სასწავლებელს 2011 წლამდე არ განუხორციელებია არცერთი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მათ არ გააჩნიათ სასწავლო

დაზგები, ჩარხ-დანადგარებით, სათანადო ინსტრუმენტებით და ხელსაწყოებით, აგრეთვე საჭირო მიწის ნაკვეთები საწარმოო სწავლებისა და საწარმოო პრაქტიკების ჩატარებისათვის.

7. კიდევ უფრო მეტად გასაკვირი და მიუღებელია ის გარემოება, რაზეც განცხადდა სხდომის დაწყების წინ (იხილეთ 10.02.2011 წლის სხდომის ოქმი №3), რომ „პროგრამული და ადამიანური რესურსების შესაბამისობა სტანდარტებთან გამომდინარეობს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების 2010 წლის ანგარიშიდან და წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლიდან.“

ამასთან დაკავშირებით:

- 2010 წლის თვითშეფასების ანგარიშში ვერც ერთი უმაღლესი სასწავლებელი ვერ წარუდგენდა ცენტრს ან საბჭოს ინფორმაციას ვერც მატერიალური და ვერც ადამიანური რესურსების თაობაზე, ვერც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ვინაიდან ისინი 2011 წლამდე არ ახორციელებდნენ პროფესიული განათლების არცერთი საფეხურის სწავლებას;
- ექსპერტთა ჯგუფებს თავიანთ დასკვნაში უნდა დაედასტურებინათ გააჩნია თუ არა კონკრეტულ უმაღლეს სასწავლებელს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები და პირველ რიგში საწარმოო სწავლებისა და პრაქტიკის მასწავლებლები;
- დღეისათვის პრაქტიკის მასწავლებელთა დიდი დეფიციტია და კვალიფიციური პრაქტიკის მასწავლებლებს სანთლით ეძებენ პროფესიული კოლეჯები.

8. ზემოაღნიშნული დარღვევების ფონზე ავტორიზაციის საბჭო აგრძელებს მათ მომრავლებას, როდესაც იწყებს განხილვას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრას.

9. მართალია, ავტორიზაციის საბჭო განმარტავს (ოქმი №3), რომ საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პროფესიული სტუდენტთა ადგილების ზღვრული ოდენობის განსაზღვრა ხდება მხოლოდ 2 შემთხვევაში და ვითარებიდან გამომდინარე მსჯელობა უნდა ყოფილიყო მხოლოდ მეორეზე;

2. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში - ავტორიზაციის დარჩენილი ვადით.

ავტორიზაციის საბჭო ღებულობს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებას შეუმცირდეს თითოეულ უმაღლეს სასწავლებელს ჩასარიცხი სტუდენტების რაოდენობა და პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განისაზღვროს უკვე განსაზღვრული სტუდენტთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში.

10. ამისთანა უკანონო ქმედების განხორციელებას, ავტორიზაციის საბჭო ასაბუთებს იმით (ოქმი №3), რომ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილია მხოლოდ თვითშეფასების ანგარიში და ამიტომაც შეუძლებელია პროფესიული სტუდენტთა ადგილების განსაზღვრა მოხდეს სტუდენტთა საერთო რაოდენობისგან დამოუკიდებლად.“

11. აღნიშნული კიდეც ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ დამატებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მეცემა უნდა მომხდარიყო მხოლოდ ბრძანების დებულების მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული ქმედების განხორციელების შემდეგ.

12. ავტორიზაციის საბჭოს არ ჰქონდა უფლება შეემცირებინა უმაღლესი სასწავლებელში უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხი სტუდენტების რაოდენობა და მათ ხარჯზე დადგენილიყო პროფესიული სტუდენტების რაოდენობა.

13. კიდეც ერთი კანონდარღვევაა სახეზე და ეს ეხება იმას, რომ დებულების მუხლი 30, პუნქტი 2-ის შესაბამისად უმაღლესი დაწესებულებების თვითშეფასების წლიური ანგარიში ცენტრს წარედგინება ყოველწლიურად 1 მარტიდან 30 ივნისამდე და ამ ანგარიშში ვერანაირად ვერ მოხვდებოდა ის მონაცემები, რომლის განხილვის ან შესწავლის შედეგად ავტორიზაციის საბჭო მიიღებდა იმ გადაწყვეტილებებს, რაც მან კანონის უხეში დარღვევით განახორციელა 2011 წლის 10 თებერვალს.

14. კანონიერად განხილვის შემთხვევაშიც საბჭოს ვერ უნდა მიეღო გადაწყვეტილებები იმის თაობაზე აკმაყოფილებს თუ არა რომელიმე უმაღლესი დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს. მისი მიღების დღიდან უნდა გასულიყო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი ვადა და მხოლოდ ამის შემდეგ ემსჯელა და მიეღო გადაწყვეტილება დამატებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობაზე.

15. დარღვეულ იქნა მინისტრის ბრძანების 22 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ ზეპირი მოსმენის შესახებ დაინტერესებულ მხარეს უნდა ეცნობოს ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 7 დღით ადრე. შეტყობინება კი უზრუნველყოფილი იყო მხოლოდ 9 თებერვალს, ზეპირ მოსმენამდე 1 დღით ადრე.

16. 2011 წლის 10 თებერვლის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პირველი პუნქტები არა მარტო უკანონოა, არამედ გასაოცარია, ვინაიდან სხდომის ოქმში ნათლად ჩანს, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა წარმოადგინეს მხოლოდ თვითშეფასების ანგარიშები, ხოლო ამ პუნქტით საბჭო სათანადო საფუძვლის გარეშე ადგენს რომ ესა თუ ის უმაღლესი სასწავლებელი აკმაყოფილებს ავტორიზაციის სტანდარტებს.

17. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და დებულების მუხლი 31, პუნქტი 1, ბ) ქვეპუნქტის გათვალისწინებით საჭიროდ მივიჩნევ, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შეამოწმოს 17 უმაღლესი სასწავლებლის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან, განახორციელოს სტანდარტების შესრულების მონიტორინგი (მუხლი 30, 31 ,32) და მიიღოს კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილება.

18. უნდა ა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ბრძანების შესაბამისად 17 უმაღლესმა დაწესებულებამ გადაიხადა დამატებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის 3000-3000 ლარი და ჩვენთვის საინტერესოა ისიც, რომ როდესაც არ ჩატარებულა სტანდარტების შესამოწმებლად საექსპერტო შემოწმებები დებულების მე-IV თავის შესაბამისად, ამ შემთხვევაში რა საჭიროებისთვის უნდა გაიხარჯოს ხსენებული თანხები.

19. ამის გარდა ვთვლით, რომ ავტორიზაციის საბჭოს 9 წევრიდან უმრავლესობა წარმოადგენს უმაღლესი დაწესებულებების თანამშრომლებს, რომლების მოღვაწეობა ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობაში სისტემატურად შეუმქნის ინდივიდუალური ან კოლექტიური ინტერესთა კონფლიქტის ვითარებას და მათ იქ მოღვაწეობის გაგრძელება მიგვაჩნია მიზანშეუწონლად.

20. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი კანონდარღვევებით ჩატარებული 10 თებერვლის ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესწავლისა და მათზე რეაგირების ჩატარებამდე მიზანშეუწონლად მიმაჩნია ანალოგიურ საკითხებზე მოწვეული 9 მარტს ავტორიზაციის საბჭოს ჩატარება, რომელზეც სავარაუდოდ მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება საფუძველი გახდეს უმაღლესი სასწავლებლების ავტორიზაციის დაუქმების საფუძველი.

21. საჭიროების შემთხვევაში ხსენებული დარღვევების გამოკვლევის მონიტორინგის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი კავშირის კვალიფიციური ექსპერტები.

22. მიღებულ ზომებზე გთხოვთ გვიპასუხოთ.”.

დავითაშვილმა დააზუსტა, რომ წერილის მე-18 პუნქტი მიმართული იყო ცენტრისადმი, ხოლო მე-19 პუნქტი სამინისტროსადმი და საბჭოს არ სთხოვდა ამაზე მსჯელობას.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ დღის წესრიგის დამტკიცებამდე უნდა ემსჯელათ აღნიშნულ წერილში დასმული საკითხებისა და სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების თაობაზე.

დანიელ დავითაშვილმა საბჭოს წინაშე დააფიქსირა წერილში ასახული მოთხოვნები. მისი თქმით, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებები და ოქმი კანონშეუსაბამოა. 17 უმაღლესი სასწავლებელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებსაც მიეცათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება შეიძლება დადგეს ავტორიზაციის გაუქმების საფრთხის წინაშე. საექსპერტო ვიზიტები არ განხორციელებულა, საექსპერტო დასკვნები არ შედგენილა, განხილვები არ ყოფილა, სპეციალისტების მიერ პროგრამების შესწავლა არ მომხდარა და ვერც მოხდებოდა, რადგან არც სამინისტროს და არც ცენტრს არ აქვს შესაბამისი რესურსი. ექსპერტები არ იძლევიან ამის საფუძველს, რადგან ისინი არიან ყველა სპეციალობისა გარდა იმისა რა სპეციალობითაც დაწესებულებებს მიეცათ უფლება განხორციელებინათ მე-4 და მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

დანიელ დავითაშვილმა აღნიშნა, რომ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების გარდა, რომლებსაც მიეცათ პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება, არცერთ დაწესებულებას არ აქვს გამოცდილება პროფესიული განათლებისა და მატერიალური რესურსი ვერ ექნებოდათ. ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ ვერ მოხდებოდა 2010 წლის თვითშეფასების ანგარიშში, რადგან 2010 წლის ივნისში არ იყო შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაცია პროფესიულ პროგრამებთან მიმართებით. 2011 წლის 28 იანვრამდე არავინ იცოდა რა სტანდარტი დამტკიცდებოდა და ეჭვს იწვევს 3 დღეში როგორ მოახერხეს დაწესებულებებმა პროგრამების სტანდარტის შესაბამისად დამტკიცება. მან კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ დაწესებულებები ვერ აკმაყოფილებდნენ ადამიანური და მატერიალური რესურსის სტანდარტს. დანიელ დავითაშვილმა აგრეთვე აღნიშნა, რომ კარგად იცოდა რა მოთხოვნებია პროფესიულ განათლებასთან მიმართებით ევროპაში და თუ საქართველოში სიტუაცია არ შეიცვალა საფრთხის წინაშე დადგება ევრო გაერთიანების მხრიდან 5.5 მილიონი ევროს გამოყოფა. დავითაშვილის აზრით, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებები საფრთხის წინაშე აყენებს აღნიშნული დაწესებულებების ავტორიზაციის საკითხს. ავტორიზაციის ვადით განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობის შემცირების უფლება არავის არ აქვს, არც კანონში არ არის შესაბამისი საფუძველი და არც საბჭოს აქვს უფლება საერთო რაოდენობის ფარგლებში გამოყოს პროფესიული სტუდენტები. აღნიშნულ

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არ არის პროფესიული პროგრამების განხორციელების პირობები და ეს წარმოადგენს კონსტიტუციის დარღვევას.

დანიელ დავითაშვილის პოზიციით, მინისტრის და პრემიერ მინისტრის ნათქვამი წლის ბოლომდე 25000 სპეციალისტის გამოშვების შესახებ არის პიარი და ვინც შეცოდმაში შეიყვანა მინისტრი და პრემიერი, პასუხი მოეთხოვებათ. ამ მეთოდით ვერ მოხერხდება 25 000 სპეციალისტის გამოშვება და ეს წლის ბოლოს იქნება ძალიან დიდი პრობლემა ევროგაერთიანებასთან მიმართებით.

დანიელ დავითაშვილმა თხოვნით მიმართა საბჭოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმებით გადაეწყვიტათ აღნიშნული საკითხი, რადგან ცენტრს აქვს სტუდენტთა რაოდენობის შემცირების უფლება, საბჭოს კი არა. მან ითხოვა, რომ საბჭომ არ დაუშვას 17 სასწავლებლის ავტორიზაციის გაუქმება, რამდენადაც 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება ავტორიზაციის გაუქმების საფუძველია, რადგან თუ მონიტორინგი განხორციელდება, დადგინდება, რომ ორის გარდა ვერც ერთი დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს. დავითაშვილმა საბჭოს წევრებს მიმართა, რომ თავად ჩაუდგნენ სათავეში საკითხის შესწავლას, გადახედონ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ენდონ მხოლოდ საკუთარი შესწავლის შედეგებს.

დანიელ დავითაშვილმა აღნიშნა, რომ საჩქარო არაფერი იყო და ეს პროცესები არ იყო დაკავშირებული ეროვნული გამოცდების ჩატარებასთან, რამდენადაც „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ სტანდარტების დამტკიცებამდე და შესაბამისი პროგრამების შედგენამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი უფლებამოსილია დაამტკიცოს დროებითი საგანმანათლებლო პროგრამები. აღნიშნულიდან გამომდინარე, დავითაშვილი მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია მოცემულმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა იგივე პროგრამები წარუდგინონ მინისტრს, მიუთითონ რომ ესაა დროებითი, მინისტრი დაუმტკიცებს დროებით პროგრამებს და თუ თვლიან რომ მზად არიან სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის, მიეცემათ პროგრამის განხორციელების უფლება.

დავითაშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა საბჭოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებების კანონიერების გარკვევამდე, საბჭომ აღარ იმსჯელოს წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით, მოისმინოს მხოლოდ ინფორმაცია და არ მოხდეს გადაწყვეტილებების მიღება. მან აღნიშნა, რომ არ არსებობს ინფორმაცია თუ რამდენი სახელოსნო და ინსტრუქტორია I, II, III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად. 25000 სპეციალისტს, რომელიც წელს უნდა დასაქმდეს სჭირდება 8200 მაღალკვალიფიციური ოსტატი და ამდენივე სახელოსნო, გარდა ამისა მიწები, პოლოგონები და ლაბორატორიები, რაც დღეს არ არსებობს. დავითაშვილმა კიდევ ერთხელ მოუწოდა საბჭოს ნუ მიიღებდა ნაჩქარევ გადაწყვეტილებას. საჭირო იყო ექსპერტების მიერ დაწესებულებების პირობების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხი დადგება აღნიშნული 17 საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმების თაობაზე, რადგან ეს პროფესიული პროგრამები მათი ნაწილი გახდება.

დანიელ დავითაშვილმა აგრეთვე დააფიქსირა თავისი აზრი, რომ არ არსებობდა მზაობა არც I, II და III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად. ამასთან იგი მიიჩნევს რომ, IV და V საფეხური არაა პროფესიული გა ნათლება, ამიტომ საჭიროა საკანონმდებლო ცვლილება რათა ეს საფეხურები გადავიდეს VI საფეხურზე და განხორციელდეს კოლეჯების მიერ. დანიელ დავითაშვილს ასევე მიაჩნია, რომ ავტორიზაციის საბჭოს 9 წევრიდან უმრავლესობა წარმოადგენს უმაღლესი დაწესებულებების თანამშრომლებს, რომლების მოღვაწეობა ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობაში სისტემატურად შეუმქნის ინდივიდუალური ან კოლექტიური ინტერესთა კონფლიქტის ვითარებას და მათ იქ მოღვაწეობის გაგრძელება მიაჩნია მიზანშეუწონლად.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ეს საკითხი საქართველოს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებაში შედის, ამდენად საბჭო ვერ იმსჯელებს საბჭოს შემადგენლობაში ინტერესთა კონფლიქტის არსებობის საკითხზე.

დანიელ დავითაშვილმა საბჭოს წინაშე ჩამოაყალიბა მისი სამი ძირითადი თხოვნა:

1. საბჭომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად მოახდინოს იმ დაწესებულებების მონიტორინგი და პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება, რომლებსაც საბჭოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით მიენიჭათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება;

2. მიმდინარე სხდომაზე საბჭოს მოესმინა მხოლოდ ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ და არ მომხდარიყო გადაწყვეტილების მიღება;

3. მასთან ურთიერთთანამშრომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ დანიელ დავითაშვილის შუამდგომლობიდან გამოკვეთა საკითხები, რომლებიც საბჭოს მხრიდან საჭიროებდნენ პასუხის გაცემას:

1. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტები არიან თუ არა კვალიფიკაციით შესაბამისი, რომ წარმოდგენილი პროფესიული პროგრამები შეამოწმონ;

2. გამოკვლეული იყო თუ არა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა, რომლებმაც საბჭოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით მიიღეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება მათ მიერ წარმოდგენილი პროფესიული პროგრამების მიზნებთან;

3. კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით მოხდა თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენა, მაშინ, როდესაც პროფესიული სტანდარტები არ არსებობდა;

4. საბჭოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება არღვევს თუ არა საქართველოს კონსტიტუციას;

5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი არიან თუ არა შეცდომაში შეყვანილები;

6. საბჭოს მიერ 2011 წლის 10 თებერვალს მიღებულმა გადაწყვეტილებებმა გამოიწვია თუ არა სტუდენტთა რაოდენობის შემცირება.

7. ჰქონდა თუ არა საბჭოს უფლება დაედგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების უფლება განმცხადებლებისათვის საექსპერტო ვიზიტის გარეშე ამ დაწესებულებებში.

8. გასულია თუ არა საბჭოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა.

დანიელ დავითაშვილმა დააზუსტა, რომ მე-5 საკითხი საბჭოს არ ეხებოდა და მისი ინიციატივით საბჭოს თავმჯდომარემ მოხსნა ამ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ ზემოაღნიშნული საკითხებიდან გამომდინარე დააკონკრეტა დავითაშვილის თხოვნა:

1. საბჭომ ცენტრთან შეთანხმებით განახორციელოს იმ დაწესებულებების პირობების სტანდარტებთან შესაბამისობის ხელახალი შემოწმება, რომლებსაც 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით მიეცათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება;
2. გადაიდოს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა
3. საბჭომ ითანამშრომლოს დანიელ დავითაშვილთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციისას.

დანიელ დავითაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ პირველ თებერვალს, როდესაც დასრულდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენის ვადა, ორ თებერვალს ოფიციალური წერილით მიმართა ცენტრს, რომ ეცნობებინათ იმ დაწესებულებების დასახელება, რომლებმაც შეიტანეს პროგრამები და საპასუხო წერილი თან აქვს. დავითაშვილის თქმით 4 დაწესებულება მათ შორის 2 რომელიც უკვე განიხლა საბჭომ და სამის განხილვას დღეს აპირებს, არ იყვნენ ცენტრის მიერ მიწოდებულ სიაში. დავითაშვილი მიიჩნევს, რომ საბჭო შეცდომაშია შეყვანილი და ის თავს ვალდებულია თვლიდა ეს ინფორმაცია საბჭოს წევრებისთვის მიეწოდებინა.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ თუ ცენტრმა დადგენილი ვადის დარღვევით მიიღო დოკუმენტაცია ეს წარმოადგენდა ცენტრის მხრიდან ადმინისტრაციული კანონმდებლობის დარღვევას, რაზეც მოითხოვა ცენტრისაგან სათანადო განმარტების მიღება.

დანიელ დავითაშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა თხოვნა არ განეხილა იმ საგანმანათლებლო დაწესებულებების საკითხი, რომლებიც არ იყვნენ ცენტრის მიერ მიწოდებულ სიაში.

თავმჯდომარემ ითხოვა მოთხოვნის დაკონკრეტება.

დანიელ დავითაშვილმა დააზუსტა, რომ ეს მოთხოვნა შედიოდა პირველ მოთხოვნაში, რაც გულისხმობდა დაწესებულებების პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის ხელახალ შემოწმებას.

თავმჯდომარემ გამოარკვია, რომ დავითაშვილის თქმით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენის ბოლო ვადა იყო 2011 წლის 1 თებერვალი, თუმცა 10 თებერვალს საბჭომ იმსჯელა ისეთ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან მიმართ, რომლე ბსაც პროგრამები წარმოდგენილი ჰქონდათ 1 თებერვლის შემდეგ.

თავმჯდომარემ დანიელ დავითაშვილს განუმარტა, რომ თუ ყოველივე ზემოაღნიშნული სიმართლეს წარმოადგენდა, მაშინ საბჭოს გადაწყვეტილება ამ ნაწილში იქნებოდა უკანონო და მას უნდა დაეყენებინა გადაწყვეტილების ბათილობის მოთხოვნა.

დავითაშვილმა აღნიშნა, რომ გასული იყო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა. დამატებით მან საბჭოს განუცხადა, რომ ჰქონდა ინფორმაცია, რომ ორმა დაწესებულებამ ვადაში განცხადება კი შემოიტანა, მაგრამ პროგრამები არ შემოუტანია.

თავმჯდომარემ გამოარკვია, რომ საბჭოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება გამოქვეყნდა 10 დღის ვადაში და რადგან გასაჩივრება შესაძლებელია გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ამიტომ საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა არ იყო გასული. აღნიშნულის თაობაზე საბჭოს თავმჯდომარემ სათანადო განმარტება მისცა დანიელ დავითაშვილს, რომელმაც განაცხადა რომ არ აპირებს სასამართლოში საბჭოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების გასაჩივრებას.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს კიდევ ერთხელ გააცნო საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე-13 მუხლი, რომლის მიხედვითაც ზოგადსაგანმანათლებლო ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ ამ დებულების III თავით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილების შემთხვევაში. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს ავტორიზაციის საბჭო. თავმჯდომარემ ასევე განმარტა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები მოცემულია ამავე დებულების მე-3 თავში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო ამავე დებულების 33-ე მუხლის პირველი, მესამე და მე-4 პუნქტები:

1. მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა და სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობებს ამ წესის შესაბამისად განსაზღვრავს ავტორიზაციის საბჭო.

3. ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულ მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა მიღება შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

4. საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრული მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადაჭარბება არის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი, გარდა სტუდენტის სტატუსის აღდგენის ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესით ჩარიცხვისას სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გადაჭარბების კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დებულების 36-ე მუხლი:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი მონაცემების ჯამით:

ა) დაწესებულების საერთო ფართი შეფარდებული 4-თან;

ბ) მასწავლებელთა რაოდენობა გამრავლებული 8-ზე, მაგრამ არა უმეტეს 400-ისა.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით პროფესიული სტუდენტების ოდენობა უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს დაუდგინდათ სტუდენტთა მაქსიმალური ქვოტის ფარგლებში მათ მიერვე წარმოდგენილი ოდენობების მიხედვით, შესაბამისად უადგილოა საუბარი სტუდენტთა ოდენობის შემცირების თაობაზე.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად საბჭოს გადაწყვეტილება არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, შესაბამისად მას უნდა ჰქონდეს დასაბუთება. კანონდარღვევით მიღებული გადაწყვეტილება ბათილია. აქტის ბათილად ცნობა ამავე კოდექსის 60¹ მუხლის შესაბამისად შეუძლია თავად გამომცემ ორგანოს, თუ დარღვეულია კანონი იმგვარად, რომ დარღვევის არ არსებობის შემთხვევაში სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული. თავმჯდომარემ დასძინა, რომ თუ საბჭო, დანიელ დავითაშვილის შუამდგომლობას არ დააკმაყოფილებს და არ გააუქმებს მის მიერ 2011 წლის 10 თებერვლას მიღებულ გადაწყვეტილებებს, მაშინ დაინტერესებულ მხარეს

მაინც რჩება სამართლებრივი საშუალება აღნიშნული გადაწყვეტილებები გასაჩივროს სასამართლოში, ვინაიდან გასაჩივრების ვადა არ არ არის გასული.

თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გამოკვეთა თემები, რომლებზეც საბჭოს უნდა ემსჯელა:

1. პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობა საბჭომ სათანადოდ გამოიკვლია თუ არა;
2. შემცირდა თუ არა სტუდენტთა ოდენობა, როდესაც საერთო კვოტის ფრაგლებში დადგინდა პროფესიულ სტუდენტთა ოდენობა;
3. დაირღვა თუ არა პროცედურები, გამოქვეყნდა თუ არა ინფორმაცია საბჭოს სხდომის გამართვის შესახებ 7 დღით ადრე და, ვადების დარღვევის არსებობის შემთხვევაში, დარვევა იყო თუ არა არსებითი.

თავმჯდომარემ დააკონკრეტა, რომ აღნიშნული სამი კომპონენტის გათვალისწინებით უნდა ემსჯელათ მიღებული გადაწყვეტილება იყო თუ არა უკანონო. მსჯელობისას უნდა განეხილათ ის საკითხები, რომლებიც წამოჭრა ბატონმა დავითაშვილმა:

ექსპერტების კვალიფიკაციის ადექვატურობა; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ადექვატურობა; სტანდარტების არ არსებობისას, როგორ მოხერხდა მათთან შესაბამისობის დადგენა; კონსტიტუციის დარღვევა (თავმჯდომარემ ითხოვა დაზუსტება რაში გამოიხატებოდა კონსტიტუციის დარღვევა); სტუდენტთა კონტიგენტის შემცირება.

დანიელ დავითაშვილმა აღნიშნა, რომ თავმჯდომარემ აბსოლუტურად სწორად გამოიყენა დებულების 33-ე მუხლი, თუმცა უნდა მხედველობაში იქნას მიღებული აღნიშნული მუხლის მეორე პუნქტიც, რომლის მიხედვითაც:

მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობების განსაზღვრა ხდება:

- ა) ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში - ავტორიზაციის ვადით;
- ბ) საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრში მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში - ავტორიზაციის დარჩენილი ვადით.

დავითაშვილის განმარტებით, კონსტიტუციის დარღვევა იმაში გამოიხატა, რომ როდესაც ავტორიზაციის ვადით განსაზღვრული იყო მაგალითად 2000 სტუდენტის და საბჭომ 1450

წაართვა ეს კონსტიტუციის დარღვევა და ადამიანის უფლებათა დარღვევა. 33-ე მუხლი „ბ“ ქვეპუნქტში საუბარია რაოდენობის გაზრდაზე და არა არსებული რაოდენობის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გამოყოფაზე. დავითაშვილი მიიჩნევს, რომ საბჭო უნდა წასულიყო ადგილების გაზრდის გზით.

საბჭოს წევრებმა თავმჯდომარისგან, როგორც იურისტისგან, ითხოვეს სამართლებრივი განმარტების გაკეთება.

თავმჯდომარის განმარტებით, პირველი საკითხი დასმულია შემდეგნაირად - ჰქონდა თუ არა საბჭოს უფლება განეხილა დაწესებულებების განცხადებები და მიეღო წარმოდგენილი პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის თაობაზე გადაწყვეტილება, მაშინ, როცა არ განხორციელდა დებულების მე-6 თავით გათვალისწინებული პროცედურა. ანუ წარმოდგენილი პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად აუცილებელი იყო თუ არა განხორციელებულიყო მთლიანი ავტორიზაციის პროცედურა საექსპერტო ვიზიტის განხორციელების ჩათვლით.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ მე-6-ე ავი ეხება ავტორიზაციის ჩატარების წესს და არა პროფესიული საგნამართლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის წესს. საავტორიზაციო პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს საავტორიზაციო განაცხადის წარდგენა; ავტორიზაციის მაძიებლად ცნობა; ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნა; საავტორიზაციო ვიზიტის განხორციელება; ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შედგენა და დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა; ავტორიზაციის საკითხზე ზეპირი მოსმენის გამართვა; გადაწყვეტილების მიღება და გამოქვეყნება. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დანიელ დავითაშვილის პოზიციით, პროფესიული პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა აუცილებლად ავტორიზაციისთვის დადგენილი პროცედურების გავლით უნდა მომხდარიყო და ამის გარეშე საბჭოს არ ჰქონდა უფლება ემსჯელა პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობაზე.

ლალი ღოდელიანმა (საბჭოს წევრი) ითხოვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ცენტრის მხრიდან პოზიციის დაფიქსირება.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო არ არის შეზღუდული ცენტრის პოზიციით.

ცენტრის თანამშრომელმა რევაზ ხოფერიამ საბჭოს განუმარტა, რომ ავტორიზაციის დებულების გარდამავალი ნორმებიდან გამომდინარე დაწესებულებებს ჰქონდათ შესაძლებლობა ცენტრში წარედგინათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო დებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული №2 დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი: „დაწესებულება, რომელმაც სსიპ – განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში წარადგინა 2010 წლის თვითშეფასების ანგარიში, უფლებამოსილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად 2011 წლის 1 თებერვლამდე დამატებით წარადგინოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამები ან მოახდინოს არსებული პროგრამების მოდიფიცირება. დაწესებულება ვალდებულია გადაიხადოს ამ დანართის პირველი მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საფასური”.

რევაზ ხოფერიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებებმა ცენტრში წარადგინეს პროგრამები, აგრეთვე თვითშეფასების ანგარიში, რომელიც მოიცავდა ინფორმაციას დაწესებულების მიერ სტანდარტების დაკმაყოფილების თაობაზე. კერძოდ, ასახული იყო ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, ადამიანური რესურსის შესახებ. წარდგენილი დოკუმენტაცია შეისწავლა ცენტრის შესაბამისმა სამსახურმა, რის შემდგომაც შესაბამისი დოკუმენტაცია წარუდგინა საბჭოს წევრებს გასაცნობად.

თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ 10 თებერვლის სხდომისათვის საბჭოს ჰქონდა შესაძლებლობა წინასწარ გაცნობოდა თვითშეფასების ანგარიშს, საგანმანათლებლო პროგრამებს, მონაცემებს მატერიალურ და ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. ანუ სამივე სტანდარტთან დაკავშირებით საბჭოს ჰქონდა მასალები. თავმჯდომარის განმარტებით, მსჯელობის საგანი იყო უნდა განხორციელებულიყო თუ არა აუცილებლად მე-6 თავით გათვალისწინებული საექსპერტო ვიზიტი, ანუ საბჭოს შეეძლო თუ არა სტანდარტებთან შესაბამისობა დაედგინა თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციის, აკადემიური პერსონალის რეესტრის შესწავლის, პროგრამების ანალიზისა და ცენტრის შეფასებების საფუძველზე.

ცენტრის თანამშრომელმა კონსტანტინე ჩოკორაიამ აღნიშნა, რომ მე-6 თავით გათვალისწინებულია ავტორიზაციის ჩატარების წესი. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ავტორიზაცია არის საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა. რადგან პროფესიული პროგრამების განხორციელება არ წარმოადგენს დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურას, ამიტომ ცენტრმა არ იხელმძღვანელა მე-6 თავით, არამედ იხელმძღვანელა იმ ნორმებით, რომლებიც ეხება საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას და პროგრამების განხორციელებაზე უფლებამოსილების მისანიჭებლად განცხადებები ტანდართული დოკუმენტაციის გადასცა ავტორიზაციის საბჭოს განსახილველად.

თავმჯდომარემ დაზუსტება სთხოვა კონსტანტინე ჩოკორაიას, რომ 2011 წლის 10 თებერვლის სხდომაზე საბჭომ იმსჯელა თუ არა ისეთი დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რომელსაც არ ჰქონდა ავტორიზაცია/ ინსტიტუციური აკრედიტაცია

კონსტანტინე ჩოკორაიამ განმარტა, რომ ავტორიზაციის დებულების შესაბამისად პროგრამების წარმოდგენის საშუალება მიეცათ მხოლოდ იმ დაწესებულებებს, რომლებმაც 2010 წლის თვითშეფასების ანგარიში წარმოადგინეს, ანუ ამ დროისათვის ჰქონდათ ინსტიტუციური აკრედიტაცია/ავტორიზაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროფესიული პროგრამების განხორციელებაზე უფლებამოსილების მინიჭების საკითხი საბჭომ განიხილა მხოლოდ ავტორიზებული დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი განცხადებების საფუძველზე. სტანდარტებთან შესაბამისობა გადაამოწმა, როგორც ავტორიზაციის/ინსტიტუციური აკრედიტაციის ცენტრში დაცული დოკუმენტაციით, სათანადო რეესტრების (სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის) მონაცემებით, ისე თვითშეფასების ანგარიშით, რომელიც წარმოდგენილ იქნა 1 თებერვლამდე, რისი უფლებამოსილებაც მათ ჰქონდათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართი №2-ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. საბჭომ, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ამ პროგრამებისათვის წაყენებული სტანდარტებთან შესაბამისობა შეისწავლა და გამოიკვლია დოკუმენტალურად, საექსპერტო ვიზიტის გარეშე და მიიჩნია, რომ საექსპერტო ვიზიტის გარეშეც უდავოდ

დგინდებოდა პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობასწორედ ამის გამო საბჭომ 2011 წლის 10 თებერვალს გამოსცა აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. საბჭოს თავმჯდომარის აზრით, საექსპერტო ვიზიტის განხორციელება სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ საკითხი ეხება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციას, და არა უკვე ავტორიზებული პირების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებას, თუმცა ბუნებრივია საბჭოს დისკრეციულად შეეძლო განსახილველ საკითხზე დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცემის მიზნით მოეთხოვა კიდევ ექსპერტთა ვიზიტის დანიშვნა, თუ წარმოდგენილი დოკუმენტაციის პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი სადაო გახდებოდა ან ვერ დადგინდებოდა. 2011 წლის 10 თებერვლის სხდომაზე ამგვარი ფაქტობრივი გარემოება არ დამდგარა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს სთხოვა დაეფიქსირებინათ პოზიცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად უნდა გამოეყენებინათ თუ არა მე-6 თავით განსაზღვრული ავტორიზაციის ჩატარების წესი.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ რადგან დაწესებულებები უკვე იყვნენ ავტორიზებულნი, საჭირო აღარ იყო ავტორიზაციის წესის გამეორება და მე-6 თავით გათვალისწინებული პროცედურის დაცვა.

ლალი ლოღელიანმა აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმება პოზიციას, თითქოს დაწესებულებები ვერ წარმოადგენდნენ თვითშეფასების ანგარიშს, რადგან ამ დროისათვის არ ჰქონდათ პროფესიული პროგრამები. ბატონ დანიელ დავითაშვილის განცხადებით, პროფესიულ პროგრამებს არც ერთი დაწესებულება არ ახორციელებდა, თუმცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგალითზე შესაძლებელი იყო დადასტურება, რომ 5 წელია ეს დაწესებულება ახორციელებს პროფესიული განათლების პროგრამებს და სამი გამოშვება უკვე ჰყავს. დაწესებულებას წარდგენილი ჰქონდა მოდიფიცირებული და ახალი პროგრამები.

გაიანე სიმონიას პოზიციით, იგივეს თქმა შეიძლებოდა სამედიცინო უნივერსიტეტთან მიმართებით.

ანა კლდიაშვილმა განაცხადა, რომ მან საგანგებოდ იკითხა თუ რას ეხებოდა მე-6 თავი პროგრამების განხორციელებაზე თანხმობას თუ ავტორიზაციას. რადგან ეს ეხება ავტორიზაციის ჩატარების წესს, მაშინ ეს დაწესებულებები უკვე არიან ავტორიზებულები და საბჭო სწორად მოიქცა, როდესაც არ იხელმძღვანელა ამ ნორმებით. მეორე საკითხი არის რამდენად სწორია, რომ არ გადამოწმდა ექსპერტების ვიზიტით და მხოლოდ წარმოდგენილ დოკუმენტებს დავეყრდენით. რეალურად ავტორიზაციის დროს ყველაფერი იყო შემოწმებული გარდა პროგრამებისა. ჩვენ მხოლოდ პროგრამებთან და აკადემიურ პერსონალთან მიმართებით გვჭირდებოდა ახალი ინფორმაცია.

კონსტანტინე ნანობაშვილის განმარტებით იგი არ ესწრებოდა წინა სხდომას, მაგრამ მოცემული მსჯელობიდან გამომდინარე, საბჭომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

რუსუდან ტყემელაშვილის პოზიციით რადგან დაწესებულებს ავტორიზაცია უკვე გავლილი ჰქონდა ეს ნიშნავდა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებული იყო და ხელახალი ავტორიზაციის პროცედურა საჭირო არ იყო.

დავით კახნიაშვილის აზრით, საბჭომ მიიღო აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება.

თავმჯდომარის პოზიციით მოცემულ ნაწილში განმცხადებლის მოთხოვნა არ არის დასაბუთებული შემდეგ გარემოებათა გამო:

1. საბჭო უფლებამოსილი იყო მე-13 მუხლის შესაბამისად ემსჯელა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობაზე. მოქმედ კანონმდებლობაში არსად არ წერია, რომ დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის დასადაგენად გამოიყენება მე-6 თავით დადგენილი ავტორიზაციის ჩატარების წესი. მონიტორინგი და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა, ისევე როგორც ამისთვის გამოყენებული საშუალება და მეთოდოლოგია არის საბჭოს დისკრეცია. საბჭო არ არის შეზღუდული ცენტრის პოზიციით. შემოწმებას როგორ განახორციელებს ამას საბჭო თავად წყვეტს, რადგან კანონი საბჭოს ანიჭებს ამის უფლებამოსილებას. საბჭოს არაერთხელ მიუღია გადაწყვეტილება, როცა ექსპერტების დასკვნები არ გაზიარებულა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სწორედ ავტორიზაციის საბჭო და არავინ სხვა არის უფლებამოსილი დაადგინოს სტანდარტებთან შესაბამისობა. ვიზიტად მყოფი ექსპერტთა

დასკვნა არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი საშუალება სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა. ავტორიზაციის დროს ექსპერტთა დასკვნა სავალდებულოა, რადგან ამას ითხოვს დებულება, ხოლო პროფესიულის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე თანხმობის მისაღებად არაფერი ავალდებულებს საბჭოს დაეყრდნოს ექსპერტთა დასკვნას.

2. ექსპერტების კვალიფიკაციის პრობლემა 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებას არ უდგას, რადგან საბჭო არ დაყრდნობია ექსპერტთა დასკვნას და მათ კვალიფიციურობაზე მსჯელობა სცდება საბჭოს კომპეტენციას.

3. დაუსაბუთებელია მოთხოვნა, რომ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა უნდა განსაზღვრულიყო მას შემდეგ რაც საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობა დადგინდებოდა და ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა გავიდოდა. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დანიელ დავითაშვილის წერილის მიღების შემდეგ მან შეისწავლა კანონმდებლობა და არც ერთი აქტი არ ავალდებულებს საბჭოს ეს პროცედურა დაეყრდნოს, ჯერ პროგრამები დაამტკიცოს, დაელოდოს გასაჩივრების ვადის გასვლას და მხოლოდ ამის შემდეგ განსაზღვროს სტუდენტთა რაოდენობა.

თავმჯდომარემ დანიელ დავითაშვილს მიმართა თუ იცოდა ასეთი მავალდებულებელი სამართლებრივი ნორმა საბჭოსთვის გაეცნოთ და მასზე იმსჯელებდნენ.

დანიელ დავითაშვილმა აღნიშნა, რომ ასეთ მავალდებულებელ ნორმას ის დაასახელებდა ერთიან გამოსვლაში.

4. აკადემიური სტუდენტობის რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღებით საბჭოს არ დაურღვევია საქართველოს კონსტიტუცია. დაწესებულებებმა თვითონ მოითხოვეს საერთო ქვოტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების გამოყოფა. რაოდენობა საბჭოს არ შეუმცირებია. უნივერსიტეტებმა თავად მიიღეს გადაწყვეტილება აკადემიური სტუდენტების რაოდენობის შემცირებისა და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ სასწავლებლის სტუდენტთა მაქსიმალური ქვოტის ფარგლებში, რისი სრული უფლებამოსილებაც გააჩნდათ.

გაიანე სიმონიას განმარტებით, დაწესებულების ავტონომია იმას გულისხმობს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ თავად უნდა გადაწყვიტოს მსგავსი საკითხები.

5. დანიელ თავიდაშვილის ზეპირსიტყვიერ განცხადებას, რომ როდესაც სტანდარტები არ არსებობდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენა შეუძლებელი იყო, საბჭო დაეთანხმა დანიელ დავითაშვილს, და განმარტა, რომ ზაფხულის პერიოდისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენა შეუძლებელი იყო, რადგან იმ დროისათვის ეს სტანდარტები არ არსებობდა, მაგრამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული №2 დანართის გარდამავალ დებულებებში არსებული ნორმით, მინისტრმა უფლება მისცა იმ დაწესებულებებს, რომლებსაც წარდგენილი ჰქონდათ 2010 წლის თვიშეფასების ანგარიში, 2011 წლის 1 თებერვლამდე მოეხდინათ არსებული პროფესიული პროგრამების მოდიფიცირება ან ახალი პროგრამების დამატება, უკვე მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, ამიტომ აქ დარღვევა არ ყოფილა.

6. საბჭოს სხდომის გამართვის თაობაზე ინფორმაციის გავრცელება არის ადმინისტრაციული პროცედურა, რომლის ორგანიზებასაც აკეთებს ცენტრი. საბჭო სხდომაზე ამტკიცებს დღის წესრიგს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნა სხდომის გამართვამდე ინფორმაციის დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობის თაობაზე ემსახურება იმას, რომ დაინტერესებული მხარეებს ჰქონდეთ საკმარისი დრო მოსამზადებლად. ამ შემთხვევაში ეს უზრუნველყოფილი იყო, თუმცა რომც არ ყოფილიყო ეს პროცედურა დაცული საბჭომ აღმჭურველი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოსცა და დამატებითი არგუმენტაციის წარმოდგენისა და მომზადების საჭიროება არ ყოფილა.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭომ უნდა იმსჯელოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ჩაითვალოს თუ არა უკანონოდ, მოხდეს თუ არა მისი ბათილად ცნობა. აგრეთვე საბჭომ უნდა იმსჯელოს მიმართოს თუ არა ცენტრს, რომ მოხდეს საკითხის ხელახალი გამოკვლევა და დამატებითი მონიტორინგი. ანუ უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა დანიელ დავითაშვილის შუამდგომლობა.

თავმჯდომარემ შუამდგომლობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა მისცა დანიელ დავითაშვილს. დავითაშვილის თქმით სწორია,

რომ დაწესებულებებს უფლება აქვთ გარდამავალი დებულებების საფუძველზე შემოიტანონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ უნდა იქნეს გამოყენებული მე-6 თავით დადგენილი წესი. მე-13 მუხლი მოცემულია მე-5 თავში და ამ თავს ჰქვია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების გარეშე, ამიტომ სტატუსის მოპოვებაზე არ უნდა იმსჯელოს საბჭომ და მე-6 თავით დადგენილი წესი უნდა გამოიყენოს. დაწესებულების მიერ პროგრამის შემოტანისას საბჭოს ევალება აღნიშნული წესის გამოყენება, რადგან ამის შემდეგ მოდის მე-6 თავი.

დანიელ დავითაშვილის აზრით, 2010 წელს წარმოდგენილ თვითშეფასებაში ვერ იქნებოდა ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელია სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. ამას სჭირდებოდა ლაბორატორიები, მოწყობილობები, სახელოსნოები, მიწის ნაკეთები. არც ერთ დაწესებულებას გარდა ტექნიკური უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა არ ჰქონდა ეს რესურსი. აღნიშნული ორი უმაღლესი დაწესებულების გარდა არც ერთს არ აქვს რესურსი. ვისაც რესურსი აქვს იმათაც არ იციან რა ჩარხ-დანადგარები უნდა ჰქონდეთ, რადგან არ არსებობს ნორმატივი სადაც ეს გაწერილი იქნება. დავითაშვილმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია, რომ, პროფესიული პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა აბსოლუტურად იგივე პროცედურის დაცვით უნდა მომხდარიყო, რაც დაკავშირებულია სტატუსის მოპოვებასთან, რადგან თავის სათაურია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების გარეშე. გარდამავალ დებულებაში არ წერია რომ მე-6 თავი არ იქნას გამოყენებული. დანიელ დავითაშვილის განცხადებით, დაწესებულებებს არ გააჩნდათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი მატერიალური რესურსი.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას საბჭო გაეცნო დოკუმენტაციას, რომლის მიხედვითაც დასტურდებოდა სტანდარტებთან შესაბამისობა და კითხვა დაუსვა დანიელ დავითაშვილს მას თუ ჰქონდა რაიმე დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ დაწესებულება სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდა.

დანიელ დავითაშვილიმ განაცხადა, რომ აღნიშნულ კითხვაზე პასუხს სხვა დროს გასცემდა, რადგან მტკივნეული იქნებოდა. მან იქვე დასძინა, რომ თვითშეფასების ანგარიში

წარმოდგენილი იყო 10 რიცხვში, როცა საბჭოს სხდომა იყო და საექვო იყო იმავე დღეს როგორ მოასწრო საბჭომ დოკუმენტაციის შესაწავლა. დავითაშვილმა დააფიქსირა, რომ დაწესებულებებს არ აქვთ ადამიანური რესურსი, მატერიალური რესურსი, პროგრამები. სილაბუსები არ არის წარმოდგენილი და რომც ყოფილიყო წარმოდგენილი არ არსებობდა მათი ადამიანი, რომელსაც ჰქონდა მათი შემოწმების კომპეტენცია და სპეციალობა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მას მართლაც არ ჰქონდა კავლიფიკაცია შინაარსობრივად შეემოწმებინა თითოეული სილაბუსი და პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა, თუმცა საქმე ეხებოდა ავტორიზაციას და არა პროგრამული აკრედიტაციას, ამიტომ საბჭოს უნდა შეემოწმებინა არსებობდა თუ არა საერთოდ სილაბუსები და ფორმალური მოთხოვნები თუ იყო დაკმაყოფილებული. სილაბუსები საბჭომ ნახა და ასეთი მოთხოვნები დაკმაყოფილებული იყო.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მე-6 თავით დადგენილი პროცედურის გამოყენებასთან დაკავშირებით, უკვე მოისმინეს დანიელ დავითაშვილის აზრი და სთხოვა პოზიცია დაეფიქსირებინა სტუდენტთა რაოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით. თავმჯდომარემ აგრეთვე სთხოვა დანიელ დავითაშვილს საბჭოსთვის განემარტა რომელი ნორმა ავალდებულებდა საბჭოს, რომ ჯერ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების თანხმობა გაეცა, დალოდებოდა გასაჩივრების ვადის გასვლას და ამის შემდეგ განესაზღვრა სტუდენტების რაოდენობა.

დანიელ დავითაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების მიხედვით, სტუდენტთა, რაოდენობა უნდა განისაზღვროს ავტორიზაციის ვადით და „ბ“ ქვეპუნქტში საუბარია რაოდენობის გაზრდაზე. საბჭოს არ აქვს უფლება არსებული რაოდენობიდან გამოყოს პროფესიული სტუდენტების რაოდენობა. დაწესებულებამ შემცირება, რომც მოითხოვოს საბჭოს არ აქვს შემცირების უფლება.

თავმჯდომარის განმარტებით დებულების 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში საუბარია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრში მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში - ავტორიზაციის დარჩენილი ვადით მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა და სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობებების განსაზღვრაზე.

თავმჯდომარემ დავითაშვილს სთხოვა დაესახელებინა ნორმა რომელიც საბჭოს ავალდებულებდა რომ ჯერ უნდა მიეღო გადაწყვეტილება პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენაზე და ამის შემდეგ უნდა განესაზღვრა სტუდენტთა რაოდენობა.

დანიელ დავითაშვილის განმარტებით ეს ვალდებულება წერია კანონში და ყველგან.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ორ საკითხი:

1. საბჭოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. თავმჯდომარემ განმარტა, რომ საუბარი იყო აღმჭურველ აქტებზე, რომლებსაც თავისი დაინეტერესებული მხარეები ჰყავდა.

2. შუამდგომლობს თუ არა საბჭო ცენტრთან რომ ჩატარდეს დამატებითი შემოწმება პროგრამებისა. თავმჯდომარის განმარტებით, აღნიშნული საკითხის დაკმაყოფილება ავტომატურად გამოიწვევს მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის გადადებას.

დანიელ დავითაშვილმა დააზუსტა, რომ იგი არ ითხოვდა გადაწყვეტილებების ბათილობას. მან მხოლოდ ინფორმაცია მიაწოდა საბჭოს და ითხოვდა ხელახალ გადამოწმებას. მან აღნიშნა, რომ წინააღმდეგი იყო გაუქმებისა, რადგან ზოგიერთ დაწესებულებასთან მიმართებით სტანდარტები არ იყო დარღვეული.

თავმჯდომარემ დანიელ დავითაშვილის პოზიციის გათვალისწინებით კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს გადაწყვეტილებების გადამოწმების მიზნით საბჭოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებების შეჩერებისა და გადაწყვეტილებებში აღნიშნული პროგრამების მე-6 თავით დადგენილი პროცედურების დაცვით შემოწმების მიზნით ცენტრთან შუამდგომლობის დაყენების საკითხი.

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 7

საბჭომ კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა, რომ არ დაკმაყოფილდეს დანიელ დავითაშვილის შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების საკითხი.

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

დღის წესრიგი წარმოდგენილი ფორმით ერთხმად იქნა დამტკიცებული.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე თანხმობის გაცემის გარდა, საგანმანათლებლო დაწესებულებათა შუამდგომლობათა საფუძველზე, აგრეთვე დებულების 33-ე მუხლის შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევებში უნდა განვუსაზღვროთ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განცხადებლებს სტუდენტთა მაქსიმალური ქვოტის ფარგლებში.

ავტორიზაციის საბჭო პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის საკითხთან დაკავშირებით განმარტავს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობების განსაზღვრა ხდება მხოლოდ 2 შემთხვევაში:

1. ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში - ავტორიზაციის ვადით;
2. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრში მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში - ავტორიზაციის დარჩენილი ვადით.

ნიშანდობლივია, რომ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 36-ე მუხლის მიხედვით, „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი მონაცემების ჯამით:

- ა) დაწესებულების საერთო ფართი შეფარდებული 4-თან;
 - ბ) მასწავლებელთა რაოდენობა გამრავლებული 8-ზე, მაგრამ არა უმეტეს 400-ისა.”
- ზემოაღნიშნული ნორმა ადგენს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესს მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის. ამასთან, უმაღლესმა

საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მიმართეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს და მოითხოვეს სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრა.

შესაბამისად, საბჭო მიიჩნევს, რომ შესაძლებელია პროფესიული სტუდენტების ადგილების რაოდენობა განსაზღვროს უკვე განსაზღვრული სტუდენტთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში.

თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული თვრამეტი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან თხუთმეტს უკვე განესაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით, შესაბამისად აღნიშნულ დაწესებულებებთან მიმართებით საბჭოს უნდა ემსჯელა მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე. რაც შეეხება შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ-კომპლექს „გონს“, საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტისა და სსიპ - ახალქალაქის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება - კოლეჯს, ამ დაწესებულებებისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შემთხვევაში, საბჭომ ამ პირების შუამდგომლობათა გათვალისწინებით ასევე უნდა განსაზღვროს პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, მათი სტუდენტთა მაქსიმალური კონტინგენტის ფარგლებში.

ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები წარადგინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამული განვითარების სამსახურის კონსულტანტმა, კონსტანტინე ჩოკორაიამ.

კონსტანტინე ჩოკორაიამ საბჭოს წევრების წინაშე განმარტა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის შესახებ ბრძანების მეორე დანართის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით: დაწესებულება, რომელმაც სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში წარადგინა 2010 წლის თვითშეფასების ანგარიში, უფლებამოსილი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

განსახორციელებლად 2011 წლის 1 თებერვლამდე დამატებით წარედგინა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები ან მოეხდინა არსებული პროგრამების მოდიფიცირება. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა 2010 წლის თვითშეფასების ანგარიში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში წარადგინეს დადგენილ ვადაში, 2011 წლის 1 თებერვლამდე.

კონსტანტინე ჩოკორაიას განმარტებით, საბჭოს წინაშე განსახილველად წარდგენილ იქნებოდა მხოლოდ ის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა მიმართაც დამტკიცებული იყო პროფესიული სტანდარტები, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ავტორიზაციის სტანდარტებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენა.

I. შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ-კომპლექსი „გონისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის საკითხი.

მოისმინეს კონსტანტინე ჩოკორაიას მოხსენება შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ-კომპლექსი „გონისთვის“ 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და პროფესიული სტუდენტების ადგილების გამოყოფის საკითხის თაობაზე. კონსტანტინე ჩოკორაიამ განმარტა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების, პროგრამებისა და თვითშეფასების ანგარიშის შემოწმების შედეგად შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტები	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1	მკერავის წარმოების სპეციალისტი	I, II, III	90	მკერავის დამხმარე, უმცროსი მკერავი, მკერავი მწარმოებელი,
2	დურგალი	II, III	60	დურგლის პროფესიული კვალიფიკაცია
3	ბუღალტერ-მოანგარიშე	III	30	ბუღალტერ-მოანგარიშე

საბჭომ დოკუმენტალური შემოწმების საფუძველზე გამოარკვია, რომ შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ-კომპლექსი „გონის“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები არ შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, კრედიტების გაანგარიშების წესს, არაფორმალური განათლების აღიარების წესს, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებს, აგრეთვე ავტორიზაციის სტანდარტებს. წარმოდგენილ პროგრამებში არეულია საფეხურები, ერთი პროგრამის სათაურით არის რამოდენიმე საფეხური და შეუძლებელია გამიჯვნა საფეხურებს შორის ამ პროგრამების მეშვეობით. მისანიჭებელი კვალიფიკაციები არის ერთიანად წარმოდგენილი და არ ირკვევა სწავლის რა შედეგების მიღწევის შედეგად უნდა მოხდეს მისი მინიჭება.

კონსტანტინე ჩოკორაიამ საბჭოს მოახსენა, რომ დაწესებულებას ეცნობა არსებული ხარვეზების შესახებ, თუმცა დაწესებულებამ დადგენილ ვადაში ხარვეზები ვერ გამოასწორა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტანტინე ჩოკორაიამ საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაზე თანხმობის არ მიცემის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე კიდევ ერთხელ გააცნო წარმოდგენილი პროგრამები საბჭოს წევრებს.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ-კომპლექსი „გონისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

მომხრე: 0

წინააღმდეგი: 7

საბჭომ კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ შპს - მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო ცენტრ-კომპლექსი „გონი“ ვერ აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე:

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტები	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1	მკერავის წარმოების სპეციალისტი	I, II, III	90	მკერავის დამხმარე, უმცროსი მკერავი, მკერავი მწარმოებელი
2	დურგალი	II, III	60	დურგლის პროფესიული

				კვალიფიკაცია
3	ბუღალტერ-მონაგარიშე	III	30	ბუღალტერ-მონაგარიშე

II. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის საფუძველზე, საკითხის განხილვასა და ხმის მიცემაში მონაწილეობა არ მიუღია საბჭოს მდივანს, გაიანე სიმონიას.

საბჭომ მოისმინა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამული განვითარების სამსახურის კონსულტანტის კონსტანტინე ჩოკორაიას მოხსენება სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის 2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების თაობაზე. კონსტანტინე ჩოკორაიამ განმარტა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების, პროგრამებისა და თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან. კონსტანტინე ჩოკორაიას თქმით, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები არ შედის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის ჩამონათვალში. მან აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/5 ბრძანების მეხუთე დანართის პირველი მუხლის მეორე პუნქტის თანახმად: ამ ბრძანების დანართი №4-ით გაუთვალისწინებელი მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დასაშვებია, თუ მასზე დაწესებულებას მიღებული აქვს თანხმობა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისგან ავტორიზაციისას, ამ პროგრამის აკრედიტაციისას ან თვითშეფასების ანგარიშის წარდგენისას.” კონსტანტინე ჩოკორაიამ შუამდგომლობით მიმართა საბჭოს და სთხოვა აღნიშნული პროგრამების განხილვის გადადება შემდგომ სხდომაზე, რათა წარმოდგენილი პროგრამების განხილვამდე მოხდეს შესაბამისი პროფესიული სტანდარტების დამტკიცება და შემდგომ მიეცეს დაწესებულებას პროგრამის განხორციელებაზე თანხმობა.

საკითხთან დაკავშირებით სიტყვა ითხოვა დანიელ დავითაშვილმა, , თუმცა თავმჯდომარემ უარი უთხრა სიტყვით გამოსვლაზე, და განუმარტა, რომ დავითაშვილი მოცემულ საკითხთან

მიმართებით არ იყო დაინტერესებული მხარე, მისი განცხადება საბჭომ უკვე განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება.

დანიელ დავითაშვილმა აღნიშნა, რომ ის გახლდათ ყველა სტუდენტის დაინტერესებული მხარე.

თავმჯდომარემ ითხოვა სტუდენტების მიერ დანიელ დავითაშვილის სახელზე გაცემული მინდობილობის წარმოდგენა, რაც დავითაშვილმა ვერ წარმოადგინა.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა კონსტანტინე ჩოკორაიას რა ვადა დასჭირდებოდა ცენტრს პროგრამებზე დასკვნის წარმოდგენისთვის. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი საგანმანათლებლო დაწესებულების საკითხის განხილვა გადადებულია 2011 წლის 4 აპრილისთვის და კითხვა დაუსვა კონსტანტინე ჩოკორაიას შესაძლებელი იქნობდა თუ არა ამავე სხდომაზე მოცემული საკითხის განხილვა, რაზეც თანხმობა მიიღო.

თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენელს თანახმა იყო თუ არა საკითხის განხილვა გადადებულიყო 2011 წლის 4 აპრილისთვის, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოარკვია, რომ საქართველოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მეხუთე დანართის პირველი მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ამ ბრძანების დანართი №4-ით გაუთვალისწინებელი მიმართულების, დარგის/სპეციალობის, ქვედარგის/სპეციალიზაციის ან პროფესიული სპეციალიზაციის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დასაშვებია, თუ მასზე დაწესებულებას მიღებული აქვს თანხმობა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისგან ავტორიზაციისას, ამ პროგრამის აკრედიტაციისას ან თვითშეფასების ანგარიშის წარდგენისას. შესაბამისად, თავმჯდომარის აზრით აუცილებელია დაწესებულებამ მიიღოს აღნიშნული თანხმობა ცენტრისგან, რათა მიეცეს პროგრამის განხორციელების უფლება.

N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტები	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1	პრაქტიკოსი ექთანი	V	150	პრაქტიკოსი ექთანი
2	პრაქტიკოსი ბეზიაქალი	V	120	პრაქტიკოსი ბეზიაქალი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა გადაიდოს მოცემული საკითხის განხილვა 2011 წლის 4 აპრილამდე და სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიეცეს ვადა წარმოდგენილი პროგრამების განხორციელებაზე მიიღოს თანხმობა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან.

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

საბჭომ კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა:

1. 2011 წ. ლის 4 აპრილამდე გადაიდოს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისთვის შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა:

N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტები	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1	პრაქტიკოსი ექთანი	V	150	პრაქტიკოსი ექთანი
2	პრაქტიკოსი ბეზიაქალი	V	120	პრაქტიკოსი ბეზიაქალი

III. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

მოისმინეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამული განვითარების სამსახურის კონსულტანტის კ. ჩოკორაიას მოხსენება სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის 8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საკითხის თაობაზე.

N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტები	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1	დრამის რეჟისორ-რეპეტიტორი	V	90	დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია
2	თეატრისა და კინოს მხატვარ-დეკორატორი	V	90	თეატრის და კინოს მხატვარ-დეკორატორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია
3	ჟურნალისტიკა	III	60	კორესპონდენტის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია
4	ეკრანული ხელოვნება	V	120	კინოტელე რეჟისორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია
5	ეკრანული ხელოვნება	V	60	მონტაჟის რეჟისორის (მემონტაჟე, აუდიო-ვიზუალური გამოსახულების სპეციალისტი) მეხუთე

				საფეხურის კვალიფიკაცია
6	ეკრანული ხელოვნება	IV	120	კინო-ტელე ოპერატორის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია
7	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირება	V	90	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია
8	ხატწერა, ქვის და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავება	V	90	ქვის და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია

საბჭომ დოკუმენტალური შემოწმების საფუძველზე გამოარკვია, რომ

რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამებიან, როგორც ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, ისე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებს. წარმოდგენილი დოკუმენტების, პროგრამებისა და თვითშეფასების ანგარიშის შემოწმების შედეგად დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვა დაუსვა საბჭოს წევრებს დოკუმენტების შესწავლის შემდეგ რაიმე სახის შენიშვნა ხომ არ ჰქონდათ წარმოდგენილ პროგრამებთან დაკავშირებით.

ლალი ლოდელიანმა აღნიშნა, რომ პროგრამები ნამდვილად აკმაყოფილებდა სტანდარტებს და უფრო მეტიც ეს პროგრამები სამუშაო ვერსიების სახით ნანახი ჰქონდათ უცხოელ ექსპერტებსაც და მათი მხრიდანაც დადებითი შეფასება არსებობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

საბჭომ კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და მიეცეს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტები	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1	დრამის რეჟისორ-რეპეტიტორი	V	90	დრამის რეჟისორ-რეპეტიტორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია
2	თეატრისა და კინოს მხატვარ-დეკორატორი	V	90	თეატრის და კინოს მხატვარ-დეკორატორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია
3	ჟურნალისტიკა	III	60	კორესპონდენტის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია
4	ეკრანული ხელოვნება	V	120	კინოტელე რეჟისორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია
5	ეკრანული ხელოვნება	V	60	მონტაჟის რეჟისორის (მემონტაჟე, აუდიო-ვიზუალური გამოსახულების

				სპეციალისტი) მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია
6	ეკრანული ხელოვნება	IV	120	კინო-ტელე ოპერატორის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაცია
7	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირება	V	90	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია
8	ხატწერა, ქვის და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავება	V	90	ქვის და სხვა მასალების დეკორატიული დამუშავების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია

IV. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის პროცესის მართვის სამმართველოს უფროსმა, ნათია ვაჭარაძემ აღნიშნა, რომ დაინტერესებული მხარე შუამდგომლობით მიმართავს ავტორიზაციის საბჭოს 22 საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით.

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კვალიფიკაცია	კრედიტები
1.	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების (გობელენის) სპეციალისტი	V	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის (გობელენის) პროფესიული კვალიფიკაცია	60
2.	ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტი	V	ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
3.	გარემოს დაცვის ტექნიკოსი	V	გარემოს დაცვის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
4.	სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი	V	სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული	60

			კვალიფიკაცია	
5.	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი	V	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
6.	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	V	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
7.	ფესაცმლის, ტყავის ნაწარმის და აქსესუარების სპეციალისტი	V	ფესაცმლის, ტყავის ნაწარმის და აქსესუარების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
8.	სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი	V	სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
9.	ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი	V	ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის მეხუთე საფეხურის (უმადლესი კატეგორიის ექსპერტის)პროფესიული კვალიფიკაცია	60
10.	ავტომობილის ზეინკალი	V	ავტომობილის ზეინკლის მეხუთე საფეხურის პროფესიული	60

			კვალიფიკაცია	
11.	სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი	V	სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
12.	კვების წარმოების მანქანების ოპერატორი	V	კვების წარმოების მანქანების ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
13.	შედუღება	V	შემდუღებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
14.	სატრანსპორტო ფირმების ლოჯისტიკის ოპერატორი	V	სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
15.	სატრანსპორტო ფირმების ლოჯისტიკის ოპერატორი ფოთის ფაკულტეტის პროგრამა	III	სატრანსპორტო ფირმების ლოჯისტიკის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
16.	მებაღე (დეკორატიული მცენარეების)	V	მებაღე (დეკორატიული მცენარეების) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
17.	მევენახე	V	მევენახის მეხუთე საფეხურის პროფესიული	60

			კვალიფიკაცია	
18.	მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების (დარგის) მანქანათა ტექნიკოს- ოპერატორი	V	მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მანქანათა მეხუთე საფეხურის ტექნიკოს-ოპერატორი	60
19.	მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების (დარგის) მანქანათა ტექნიკოს- ოპერატორი	IV	მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მანქანათა მეხუთე საფეხურის ტექნიკოს-ოპერატორი	60
20.	მელიორატორი (აგრომელიორატორი, ჰირდომელიორატორი)	IV	მელიორატორის (აგრომელიორატორი, ჰირდომელიორატორი) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
21.	მელიორატორი (აგრომელიორატორი, ჰირდომელიორატორი)	V	მელიორატორის (აგრომელიორატორი, ჰირდომელიორატორი) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
22.	მეხილე	V	მეხილეს მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

საბჭომ დოკუმენტალური შემოწმების საფუძველზე გამოარკვია, რომ

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით არსებობს შენიშვნები. კერძოდ, ზოგიერთი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში საათები არასწორად იყო დაჯამებული, ასევე სასწავლო გეგმაში მითებულია, მხოლოდ საკონტაქტო საათები. აგრეთვე ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის პროფესიული პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციაში ფრჩხილებში მითითებულია (უმაღლესი კატეგორიის ექსპერტი), ასევე რიგ პროგრამებში მითითებულია რომ 1 კრედიტი უდრის 25 სამუშაო საათს.

საბჭომ აღნიშნული ხარვეზები არ მიიჩნია მნიშვნელოვან ფაქტებად, რომლებიც იქნებოდა პროგრამების განხორციელებისათვის უარის თქმის საფუძველი.

შესაბამისად, საბჭომ სტანდარტებთან შესაბამისად შეაფასა შემდეგი პროგრამები:

1. ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმის და აქსესუარების სპეციალისტი - V საფეხური;
2. სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი - V საფეხური;
3. ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი - V საფეხური;
4. ავტომობილის ზეინკალი - V საფეხური;
5. სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი - V საფეხური;
6. კვების წარმოების მანქანების ოპერატორი - V საფეხური;
7. სატრანსპორტო ფირმების ლოჯისტიკის ოპერატორი - V საფეხური;
8. მებაღე (დეკორატიული მცენარეების) - V საფეხური;
9. მევენახე - V საფეხური.

დანარჩენ პროგრამებთან მიმართებით არსებობდა შემდეგი ხარვეზები:

1) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებულ პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალში მოცემული არ არის დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ორი პროგრამით გათვალისწინებული სპეციალიზაცია:

1. მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების (დარგის) მანქანათა ტექნიკოს-ოპერატორი - IV საფეხური

2. მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების (დარგის) მანქანათა ტექნიკოს-ოპერატორი - V საფეხური

2) 3 პროგრამაში დამტკიცებული სტანდარტი არ ითვალისწინებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საფეხურებს

1. მელიორატორი (აგრომელიორატორი, ჰირდომელიორატორი) - IV საფეხური
2. მელიორატორი (აგრომელიორატორი, ჰირდომელიორატორი) - V საფეხური
3. მეხილე - V საფეხური

3) წარმოდგენილი რვა პროგრამა ხარვეზიანია:

1. დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების (ქსოვილების მოჭითვა) სპეციალისტი - V საფეხური. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად მეოთხე საფეხურის დიპლომის არ არსებობის შემთხვევაში დასახელებულია ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტის ჩაბარება, რაც ეწინააღმდეგება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის მიხედვითაც V საფეხურზე, ჩარიცხვისათვის სავალდებულო ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობა დასტურდება ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების ტესტის შედეგების საფუძველზე იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს IV საფეხური. დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია მე-4 საფეხური.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის მიხედვითაც, მაქსიმალური შეფასების 61-70% არის (D) „დამაკმაყოფილებელი“. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შემდეგ პროგრამებში მაქსიმალური შეფასების 61-70% (D) არის „საშუალო“:

- 1) ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტი - V საფეხური;
- 2) გარემოს დაცვის ტექნიკოსი - V საფეხური;
- 3) სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი - V საფეხური;
- 4) ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი - V საფეხური.

3. ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის - V საფეხურის პროფესიული პროგრამის მიხედვით, პრაქტიკას ეთმობა 50%, პროფესიული სტანდარტის მიხედვით კი უნდა ეთმობოდეს დაახლოებით 75%, შესაბამისად, პროგრამა არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს.

4. შედუღების - V საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები არ არის გაწერილი კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისად ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გათვალისწინებით. ასევე პროგრამის სწავლის მიზანი ორიენტებულია დიპლომირებული სპეციალისტის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, მაშინ, როცა მოქმედი კანონმდებლობით მე-5 საფეხურის დასრულების შემდეგ პირი იქნება შესაბამისი კვალიფიკაციის მე-5 საფეხურის შემდუღებელი და არა დიპლომირებული სპეციალისტი, თუმცა აღნიშნული ხარვეზი არ იყო პროგრამის განხორციელებისათვის უარის თქმის საფუძველი. უარის თქმის საფუძველი გახდა ზემოაღნიშნული გარემოება.

5. სატრანსპორტო ფირმების ლოჯისტიკის ოპერატორის - III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, პრაქტიკას ეთმობა 50%, პროფესიული სტანდარტის მიხედვით კი უნდა ეთმობოდეს 60%. აგრეთვე წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით დაშვების წინაპირობაა მეორე საფეხურის დიპლომის ფლობა, თუმცა სტანდარტის მიხედვით მეორე საფეხური არ არსებობს. ასევე, პროგრამა არ ითვალისწინებს სწავლის მეთოდებს, რაც ეწინააღმდეგება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს.

კონსტანტინე ჩოკორაიამ თავმჯდომარეს მოახსენა, რომ მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების (დარგის) მანქანათა ტექნიკოს-ოპერატორი - IV საფეხური მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების (დარგის) მანქანათა ტექნიკოს-ოპერატორი - V საფეხური, არ იყო კლასიფიკატორში მოცემული, ანუ ისეთივე რეჟიმში იმყოფებოდა, როგორ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამები და მიზანშეწონილი იქნებოდა აღნიშნული ორი პროგრამის თაობაზე საკითხის განხილვა გადადებულიყო 2011 წლის 4 აპრილის სხდომისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

1) სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი შემდეგ პროგრამებთან მიმართებით:

1. ფესაცმლის, ტყავის ნაწარმის და აქსესუარების სპეციალისტი - V საფეხური;
2. სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი - V საფეხური;
3. ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი - V საფეხური;
4. ავტომობილის ზეინკალი - V საფეხური;
5. სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი - V საფეხური;
6. კვების წარმოების მანქანების ოპერატორი - V საფეხური;
7. სატრანსპორტო ფირმების ლოჯისტიკის ოპერატორი - V საფეხური;
8. მეზღვე (დეკორატიული მცენარეების) - V საფეხური;
9. მევენახე - V საფეხური.

2) სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მინიჭებაზე უარის თქმის საკითხი შემდეგ პროგრამებთან მიმართებით:

1. მელიორატორი (აგრომელიორატორი, ჰირდომელიორატორი) - IV საფეხური
2. მელიორატორი (აგრომელიორატორი, ჰირდომელიორატორი) - V საფეხური
3. მეხილე - V საფეხური
4. დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების (ქსოვილების მოჭითვა) სპეციალისტი - V საფეხური;
5. ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტი - V საფეხური;
6. გარემოს დაცვის ტექნიკოსი - V საფეხური;
7. სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი - V საფეხური;
8. ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი - V საფეხური;
9. ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი - V საფეხური;
10. შედუღება - V საფეხური;
11. სატრანსპორტო ფირმების ლოჯისტიკის ოპერატორი - III საფეხური.

3) სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამების საკითხის განხილვის 2011 წლის 4 აპრილამდე გადადების სკითხი:

1. მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების (დარგის) მანქანათა ტექნიკოს-ოპერატორი - IV საფეხური
2. მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების (დარგის) მანქანათა ტექნიკოს-ოპერატორი - V საფეხური

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

საბჭომ კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და მიეცეს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტები	კვალიფიკაცია
1	ფესაცმლის, ტყავის ნაწარმის და აქსესუარების სპეციალისტი	V	60	ფესაცმლის, ტყავის ნაწარმის და აქსესუარების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
2	სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი	V	60	სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
3	ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტი	V	60	ქიმიური და სასურსათო პროდუქტების ექსპერტის მეხუთე საფეხურის (უმაღლესი კატეგორიის

				ექსპერტის) პროფესიული კვალიფიკაცია
4	ავტომობილის ზეინკალი	V	60	ავტომობილის ზეინკალის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
5	სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი	V	60	სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
6	კვების წარმოების მანქანების ოპერატორი	V	60	კვების წარმოების მანქანების ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
7	სატრანსპორტო ფირმების ლოჯისტიკის ოპერატორი	V	60	სატრანსპორტო ფირმებში ლოჯისტიკის ოპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
8	მებაღე (დეკორატიული მცენარეების)	V	60	მებაღე (დეკორატიული მცენარეების) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
9	მევენახე	V	60	მევენახის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

2. მიჩნეულ იქნას, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ვერ აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე:

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტები	კვალიფიკაცია
---	---------------------------------------	----------	-----------	--------------

1	მელიორატორი (აგრომელიორატორი, ჰირდომელიორატორი)	IV	60	მელიორატორის (აგრომელიორატორი, ჰირდომელიორატორი) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
2	მელიორატორი (აგრომელიორატორი, ჰირდომელიორატორი)	V	60	მელიორატორის (აგრომელიორატორი, ჰირდომელიორატორი) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
3	მეხილე	V	60	მეხილეს მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
4	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების (ქსოვილების მოჩითვა) სპეციალიტი	V	60	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის (გობელენის) პროფესიული კვალიფიკაცია
5	ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტი	V	60	ქიმიური და კვების მრეწველობის უსაფრთხოების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
6	გარემოს დაცვის ტექნიკოსი	V	60	გარემოს დაცვის ტექნიკოსის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
7	სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტი	V	60	სასურსათო პროდუქტების ეკოლოგიური კონტროლის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

8	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი	V	60	ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
9	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი	V	90	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
10	შედუღება	V	60	შემდუღებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
11	სატრანსპორტო ფირმების ლოჯისტიკის ოპერატორი	III	60	სატრანსპორტო ფირმების ლოჯისტიკის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

3. 2011 წლის 4 აპრილამდე გადაიდოს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა:

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტები	კვალიფიკაცია
1	მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების (დარგის) მანქანათა ტექნიკოს-ოპერატორი	IV	60	მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მანქანათა მეხუთე საფეხურის ტექნიკოს-ოპერატორი
2	მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების	V	60	მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო

	(დარგის) მანქანათა ტექნიკოს- ოპერატორი			მომსახურების მანქანათა მეხუთე საფეხურის ტექნიკოს-ოპერატორი
--	---	--	--	--

V. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

მოისმინეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამული განვითარების სამსახურის კონსულტანტის კ. ჩოკორაიას მოხსენება სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის 25 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საკითხზე.

N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტი	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1.	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემის ტექნიკოსი	III	45	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
2.	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	II	30	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
3.	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	III	35	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
4.	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	V	60	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
5.	მემცენარეობა	III	60	მემცენარის მესამე საფეხურის პროფესიული

				კვალიფიკაცია
6.	ვეტერინარია	III	45	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
7.	მეფუტკრეობა	III	60	მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
8.	მეტყევეობა	III	45	მეტყევის (ტყის მჭრელის, ტაქსატორის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
9.	აგრარული ტექნიკის მექანიკოსი	III	45	აგრარული ტექნიკის მექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
10.	სარესტორნო საქმისწარმოება	III	45	სარესტორნო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
11.	სასტუმრო საქმისწარმოება	III	60	სასტუმრო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
12.	სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაციის ოპერატორი	III	45	მესამე საფეხურის სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაციის ოპერატორის მესამე

				საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
13.	ელექტროამბრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატი	III	45	ელექტროამბრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
14.	ელექტროამბრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატი	V	60	ელექტროამბრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
15.	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCAD) ოპერატორი	III	45	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCAD) ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
16.	ავტომობილის ზეინკლის მესამე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	45	ავტომობილის ზეინკლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
17.	მესამე საფეხურის ზეინკლის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	III	45	ზეინკლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
18.	სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი	III	45	სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
19.	ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსი	III	45	ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსის

				მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
20.	ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	III	45	ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
21.	კალატოზის მესამე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	III	45	კალატოზის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
22.	მებათქაშის მესამე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	III	45	მებათქაშის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
23.	რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებლის (მეყალიბე, მეარმატურე, მებეტონე) მესამე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	III	45	რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებლის (მეყალიბე, მეარმატურე, მებეტონე) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
24.	მეფილე-მომპირკეთებლის მესამე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	III	45	მეფილე-მომპირკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
25.	მღებავის მესამე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	III	45	მღებავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

საბჭომ დოკუმენტალური შემოწმების საფუძველზე გამოარკვია, რომ

სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამებიან, როგორც ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, ისე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებს. წარმოდგენილი დოკუმენტების, პროგრამებისა და თვითშეფასების ანგარიშის შემოწმების შედეგად დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან. თუმცა არსებობდა გარკვეული შენიშვნები, რომელზეც საბჭოს

უნდა ემსჯელა. კერძოდ, სარესტორნო საქმის მწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიულ პროგრამის მიხედვით მისანიჭებული კვალიფიკაცია არის სარესტორნო საქმის მწარმოებელი და მითითებული არ არის მესამე საფეხური კვალიფიკაციის დაზუსტებისთვის.

საბჭომ იმსჯელა და დაადგინა, რომ აღნიშნული შენიშვნა არ იყო არსებითი ხასიათის რამდენადაც პროგრამა იყო მესამე საფეხურის და თავისთავად იგულისხმებოდა, რომ კვალიფიკაციაც იქნებოდა სარესტორნო საქმის მწარმოებლის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

საბჭომ კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა:

1. მიჩნეულ იქნას, რომ სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და მიეცეს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტი	მისანიჭებული კვალიფიკაცია
1.	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემის ტექნიკოსი	III	45	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
2.	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	II	30	ინტერნეტტექნოლოგიის (ვებსპეციალისტის) მეორე საფეხურის პროფესიული

				კვალიფიკაცია
3.	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	III	35	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
4.	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	V	60	ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
5.	მემცენარეობა	III	60	მემცენარის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
6.	ვეტერინარია	III	45	ვეტერინარიული მომსახურების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
7.	მეფუტკრეობა	III	60	მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
8.	მეტყევეობა	III	45	მეტყევის (ტყის მჭრელის, ტაქსატორის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
9.	აგრარული ტექნიკის მექანიკოსი	III	45	აგრარული ტექნიკის მექანიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
10.	სარესტორნო საქმისწარმოება	III	45	სარესტორნო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
11.	სასტუმრო საქმისწარმოება	III	60	სასტუმრო საქმისმწარმოებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

12.	სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაციის ოპერატორი	III	45	მესამე საფეხურის სატელეკომუნიკაციო ქსელებისა და სისტემების ექსპლუატაციის ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
13.	ელექტროამძრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატი	III	45	ელექტროამძრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
14.	ელექტროამძრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატი	V	60	ელექტროამძრავისა და ელექტრომომმარაგებელი დანადგარების ოსტატის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
15.	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCAD) ოპერატორი	III	45	კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკის (AutoCAD) ოპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
16.	ავტომობილის ზეინკლის მესამე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	III	45	ავტომობილის ზეინკლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
17.	მესამე საფეხურის ზეინკლის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	III	45	ზეინკლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
18.	სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტი	III	45	სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის

				პროფესიული კვალიფიკაცია
19.	ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსი	III	45	ნავთობისა და გაზის მეურნეობის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
20.	ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	III	45	ზეინკალ-სანტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
21.	კალატოზის მესამე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	III	45	კალატოზის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
22.	მეზატეპის მესამე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	III	45	მეზატეპის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
23.	რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებლის (მეყალიბე, მეარმატურე, მებეტონე) მესამე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	III	45	რკინაბეტონის სამუშაოთა მწარმოებლის (მეყალიბე, მეარმატურე, მებეტონე) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
24.	მეფილე-მომპირკეთებლის მესამე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	III	45	მეფილე-მომპირკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
25.	მღებავის მესამე საფეხურის მოსამზადებელი პროფესიული პროგრამა	III	45	მღებავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

VI. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

მოისმინეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამული განვითარების სამსახურის კონსულტანტის კ. ჩოკორაიას მოხსენება სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისთვის 1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების საკითხის თაობაზე.

№	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები	საფეხური	კრედიტების რაოდენობა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
1.	ბალეტის ხელოვნება	მეხუთე	120	ქორეოგრაფ-რეპეტიტორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია

საბჭომ დოკუმენტალური შემოწმების საფუძველზე გამოარკვია, რომ

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება, როგორც ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, ისე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ პროფესიულ სტანდარტებს. წარმოდგენილი დოკუმენტების, პროგრამებისა და თვითშეფასების ანგარიშის შემოწმების შედეგად დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხი.

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

საბჭომ კენჭისყრის შედეგად გადაწყვიტა:

1. მიზნულ იქნას, რომ სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია აკმაყოფილებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებს და მიეცეს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

